მილიონთა დიდი ესტაფეტა

12 აპრილს მასობრივი კომუნისტური შაბათობა

როგორ ემზადებიან

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 აპრილი პარასკევი, 1969 წელი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 79 (14379)

ახალმშენებლობები გვიხმობს

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). თავის სამუშაო ადგილებზე გაატარებენ დასვენების დღეს, 12 აპრილს, დედაქალაქის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები, რათა დამკვრელური შრომით აღნიშნონ კომუნისტური შაბათობების 50 წლისთავი.

სხვადასხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან ათასობით კომკავშირელი გავა სამუშაოდ ქალაქის ახალმშენებლობებზე. „თბილგვირაბმშენის“ ახალგაზრდობამ გადაწყვიტა მასობრივად იშრომოს მეტროპოლიტენის ასამუშავებელი ობიექტის — სადგურ „ისნის“ მშენებლობაზე. სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები შეაგროვებენ ჯართს, დარგავენ ასობით ხეს, მონაწილეობას მიიღებენ საცხოვრებელი კვარტალების ტერიტორიების კეთილმოწყობაში.

საინტერესო ღონისძიებები განხორციელდება ლენინის სახელობის რაიონში, სადაც დედაქალაქის ძველი საწარმოები მდებარეობს. ორთაჭალა-ვაგონშემკეთებელ ქარხანას ესტაფეტრებიან № 4 საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც უხუცესი საწარმოს ეზოში გაამენებენ მეგობრობის სკვერს, ელმავალსამშენებლო ქარხნის ახალგაზრდობა 114-ე სკოლის მოსწავლეებთან ერთად დამკვრელურად იშრომებენ ელმავალსამშენებლო ქარხნის ახალი დასახლების მიკრორაიონში, კიროვის ჩარხსამშენებლო და „პლასტმასის“ ქარხნების კოლექტივები მიეხმარებიან მეტრომშენებლებს ლენინის რაიონში მდებარე მეტროპოლიტენის ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობაში.

ქარხნებში, დაწესებულებებში მოეწყობა შეხვედრები შრომის ვეტერანებთან, პირველი ლენინური შაბათობების მონაწილეებთან.

— ახალმშენებლობები გვიხმობს, — ამ დევიზით ემზადებიან ლენინური შაბათობის იუბილეს შესახვედრად თბილისელი ახალგაზრდები.

შრომის ძალა

ენგურჰესი. („კომუნისტის“ კორ.). უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები მაღალი შრომითი მაჩვენებლებით ხვდებიან პირველი კომუნისტური შაბათობის 50 წლის საიუბილეო თარიღს, 12 აპრილს. უკვე დაიწყო პირველი ლენინური შაბათობისათვის მზადება. სამშენებლო უბნებზე გაჩნდა ლოზუნგები წარწერით: „მაღალი შრომითი წარმატებით შევხვდეთ ლენინური შაბათობის იუბილეს“. 12 აპრილისათვის ენგურჰესის მშენებლები გვპირდებიან შესასრულონ 120 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, ჩააწყონ 1.200 კუბური მეტრზე მეტი ბეტონი.

რკინრდსმენმა მძღოლმა შ. ჯალდაღამ გადაწყვიტა ამ დღეს კაშხალის მშენებლობაზე 120 ტონაზე მეტი ბეტონი მიაწოდოს ქვაბულს. ლენინური შაბათობისათვის ენგურჰესელებმა გადაწყვიტეს გაუმწვანებელი არ დატოვონ არც ერთი დასახლება, ენგურჰესის ტერიტორიაზე დარგონ 3 ათასზე მეტი მარადმწვანე ნერგი.

ძალოვანი კვანძის მშენებლებმა ლენინური შაბათობის დღისათვის ვალდებულება იკისრეს უსასყიდოდ შეასრულონ 22 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, გაიყვანონ 15 კრძივი მეტრი გვირაბი, ჩასხან 700 კუბური მეტრი ბეტონი.

□ □

ასე აღნიშნავენ

ჯუთაისი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკა საბჭოთა საქართველოს პირველი საფეიქრო საწარმოა. ჯერ კიდევ 1922 წელს დიდი ლენინის მითითებითა და ინიციატივით რუსეთის მუშათა კლასმა, იგი მთელი თავისი მოწყობილობით საჩუქრად გამოუგზავნა ქართველ ხალხს. ქუთაისის მშრომელებმა უჩვეულო ენთუზიაზმით მოკიდეს ხელი ფაბრიკის გამართვის სამუშაოებს, აქ პირველად მთელ ქალაქში მოეწყო მასობრივი შაბათობები. ფაბრიკის ამუშავებიდან სამიოდე წლის შემდეგ დაიწყო რეორგანიზაციის მშენებლობა. აქაც კომუნისტური შაბათობების პირველ რიგში შემაუდეები იყვნენ. ამატომაც არის, რომ ამ დღეებში ფეიქრები ასეთი ენთუზიაზმით ემზადებიან იმისათვის, რომ ახალი შრომითი საქმეებით, ახალი საინტერესო ღონისძიებებით აღნიშნონ მასობრივი ლენინური კომუნისტური შაბათობის 50 წლისთავი. ფაბრიკის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს შემუშავებული აქვთ საიუბილეო შაბათობის მოწყობის ღონისძიებები. მთელი კოლექტივი გამოვა მასობრივ შაბათობებზე ფაბრიკის ტერიტორიის კეთილმოწყობის, დასუფთავების და გამწვანებისათვის. შაბათობის მონაწილენი იმუშავებენ ფაბრიკის წყალსადენის ძველი ქსელის გამოცვლაზე. საწარმოს ტერიტორიაზე დარგავენ 150 ძირ ხეს და ბუჩქს, სანიმუშო წესრიგზე მოიყვანენ საამქროებს, უბნებს, საწყობებს, სხვადასხვა სათავსებსა და მათს ტერიტორიებს. ამასთან მემაუდეები ეწევიან თავიანთ სამეფო კოლმეურნეობას, დეხმარებიან კოლმეურნეებს მინდვრისა და ჩაის პლანტაციების საგაზაფხულო სამუშაოების წარმოებაში.

მეტად საინტერესო იქნება ფაბრიკის ვეტერანების, პირველ შაბათობათა მონაწილეების შეხვედრა ახალგაზრდა ფეიქრებთან. ამ შეხვედრაზე სტუმრად მოვლენ რეონჰესის მშენებლობის ვეტერანები, რომლებსაც ფაბრიკის კომკავშირული რაზმები საპატიო წევრად ჩარიცხავენ.

საიუბილეო კომუნისტური შაბათობისათვის ემზადება ქუთაისის ყველა საწარმო, ქალაქის ყველა მშრომელი.

ვზარდოთ მომავლის სპეციალისტები!

დღეს არ არის ცოდნის ისეთი დარგი, რომელშიც საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელი არ ამზადებდეს სპეციალისტებს. ამით კი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ჩვენი დიდი სამშობლო. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების შემდგომ გაფართოებასა და გაუმჯობესებას.

სწორედ ამით არის ნაკარნახევი ის დიდი ღონისძიებანი, რაც პარტიისა და მთავრობის მითითებათა საფუძველზე ხორციელდება ჩვენს უმაღლეს სკოლაში სპეციალისტების თეორიული და პრაქტიკული მომზადების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისათვის.

სახელოვანი ტრადიციების მქონე ქართული უმაღლესი სკოლა ენერგიულად ბრუნავს სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, სრულყოფილი სპეციალისტების ფორმირებისათვის. მომდინარე ხუთწლედში რესპუბლიკამ სამშობლოს უნდა მისცეს ათეულ ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტი. ამ დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება გამოცდილ პროფესორ-მასწავლებელთა მძლავრი რაზმი. საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა ორასი ათასზე მეტი სპეციალისტი მისცეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მრავალრიცხოვან დარგებს. ეს სასწავლებლები ახლა მთელი შემოქმედებითი ენერგიით იბრძვიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ორ დიად თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

ჭეშმარიტად მჩქეფარე, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები. აქ ყველაფერი ექვემდებარება ერთ მიზანს— აღუზარდონ სამშობლოს ერთგული, მაღალ მორალურ თვისებათა მქონე, თეორიულად და პრაქტიკული მუშაობისათვის კარგად მომზადებულ სპეციალისტთა არმია. ეს მიზანი რომ მიიღწეულ იქნას, სულ უფრო სრულყოფილი ხდება სასწავლო პროცესი. ამ ძირითად საქმეში უმაღლესი სასწავლებლების რექტორატები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები უაღრესად აქტიურად აბამენ თვით სტუდენტთა მასებს, სტუდენტთა ორგანიზაციებს. ამის უპირველეს მაგალითს იძლევა ქართული უმაღლესი სკოლის დედა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჯერ კიდევ 1947 წელს დაარსდა აქ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება. ეს ნებაყოფლობითი ორგანიზაცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მაღალკვალიფიციური საბჭოთა სპეციალისტების მომზადებას და სტუდენტთა მიერ მოწინავე მეცნიერების დაუფლებას მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე. ამ საზოგადოების ძალის ცხოველმყოფელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მასში უნივერსიტეტის 1.500-ზე მეტი სტუდენტია ჩაბმული. ისინი ჩაბმული არიან კათედრებთან არსებული წრეების მუშაობაში. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ხელმძღვანელობენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტთა მუშაობის თემატიკა დაკავშირებულია კათედრების სამუშაო გეგმებთან. სტუდენტთა ამ ნაშრომებიდან არაერთი დაბეჭდილა სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულებში, არაერთს რგებია სიგელით დაჯილდოება, სექციებში წაკითხულ სტუდენტთა საუკეთესო მოხსენებებს უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილის პრემიებიც მინიჭებია.

დიდია სტუდენტთა მჩქეფარე შემოქმედებითს საქმიანობაში სტუდენტური ორგანიზაციების როლი, უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირის ქმედითობის მნიშვნელობა. სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში კომკავშირს აქტიური მონაწილეობის მიღება რომ შეუძლია, ამის კარგ მაგალითს იძლევა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია, რომელმაც რექტორატთან ერთად ტრადიციად აქცია ყოველწლიური საერთო-საინსტიტუტო შეჯიბრება საუკეთესო აკადემიური ჯგუფის სახელისათვის. სტუდენტები დიდად დაინტერესდნენ ამ შეჯიბრებით.

ამას წინათ მეტად საინტერესო ღონისძიება განახორციელა საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად. ბაკურიანში „მზიურ ვალზე“ მთელი ერთი კვირა ჩქეფდა სტუდენტთა სისხლსავსე ცხოვრება — მიმდინარეობდა სტუდენტთა კომკავშირული აქტივის რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებისადმი. კონფერენციის დღეებში ერთხელ კიდევ ნათლად დადასტურდა იმის აუცილებლობა, რომ უმაღლესი სკოლის კომკავშირული ორგანიზაციები უაღრესად აქტიურად ეიღოდნენ სტუდენტთა სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფის, ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში; ისინი მზარში უნდა ედგნენ უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებს, პარტიულ ორგანიზაციებს სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების, მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების, სტუდენტი ახალგაზრდობის იდეური ფორმირების, სახელდრო-პატრიოტული და შრომითი აღზრდის დიდ საქმეებში.

უმაღლესი სასწავლებლები სამშობლოს უმზადებენ სპეციალისტებს. ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კულტურის თუ მეცნიერების ფრონტები, გეგმიანი განაწილების შესაბამისად, დიდი იმედით მოელიან ხოლმე უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს, ახალ კადრებს. ეს ბუნებრივიც არის. და არავის — არც ახალგაზრდა სპეციალისტებს, არც მათს განმაწილებლებს, არც მათი სამუშაოზე მიმდები ობიექტების ხელმძღვანელთ — უფლება არა აქვს შეაფერხოს ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა როდია იმის ფაქტი, რომ დანიშნულების ადგილზე არ ცხადდებიან ახალგაზრდა სპეციალისტები, ხოლო განაწილების ადგილებზე მოსულ სპეციალისტებს ჯეროვნად არ იყენებენ.

ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა უნდა ცხოვრობდეს ხალხის, სამშობლოს ინტერესებით.

უმაღლესი სასწავლებლების პარტიულმა ორგანიზაციებმა, რექტორატებთან ერთად, ძირეული რგოლების ამოქმედებით, კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების გზით უნდა აუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მაღალკვალიფიციური, მეცნიერული მსოფლმხედველობით შეიარაღებული, ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების მთელი პროცესი, ყოველნაირად შეუწყონ ხელი სტუდენტთა თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარებას, აამაღლონ სტუდენტთა კოლექტივების, კომკავშირული ორგანიზაციების როლი ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში.

ვზარდოთ მომავლის სპეციალისტები!

რუსთავი ემზადება

სურათზე: საბრძმედე საამქროს მუშები აფორმებენ პლაკატს, რომელიც თანამოსაქმეებს შაბათობაში აქტიური მონაწილეობისათვის მოუწოდებს.

ფოტო ს. კილაძისა.

ლენინურ შაბათობაზე

რუსთავი. (საკ. კორ.). ეს მოხდა ჯერ კიდევ ახალი სამეფურნეო წლის დასაწყისში. მეტალურგიული ქარხნის რკინიგზისა და საგლინავი საამქროს კოლექტივებმა მოწოდებით მომართეს ქარხნის ყველა საამქროს პირველი კომუნისტური შაბათობის 50 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყოთ ლენინური საიუბილეო შაბათობების სამთვიური. ამ ინიციატივას ყველამ ფართოდ დაუჭირა მხარი. უკვე თებერვალში მოეწყო ლენინური შაბათობა ქარხნის ტერიტორიის გაწმენდისათვის, რკინიგზის ვაგონების გადმოტვირთვისა და ჯართის შეგროვებისათვის.

ამ შაბათობებში მონაწილეობა მიიღო 2 ათასზე მეტმა კაცმა. შეგროვილი და ჩაბარებულია 3 ათასი ტონა ჯართი, გადმოტვირთულია 120 რკინიგზის ვაგონი, გაწმენდილია ქარხნის ტერიტორიის დიდი ნაწილი.

ლენინურ შაბათობებში განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს კოქსქიმიური, სადნობ-საბრძმედი, მოლსაგლინავი, სარემონტო, მექანიკური, კირის და სხვა საამქროებმა.

კომუნისტური საიუბილეო შაბათობები ქარხანაში ვლავ წარმატებით მიმდინარეობს. 12 აპრილი აქ გამოცხადებულია მასობრივი შაბათობის მოწყობის დღედ, რომლის დროსაც მოხდება ქარხნის მთელი ტერიტორიის გაწმენდა, ჯართის შეგროვება, ვაგონების დაცლა და ტერიტორიის გაუწვანება. ამ დღეს შაბათობაზე მონაწილეობას მიიღებს 2 ათას კაცზე მეტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის რ. რ. დვალის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მანქანათმცოდნეობის დარგში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რაფაელ რაფაელის-ძე დვალი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1969 წლის 3 აპრილი.

ვ. ი. ლენინის კაბინეტი და ბინა კრემლში

გამომცემლობა „მოსკოვსკი რაბოჩიმ“ გამოუშვა მეორე, დამატებითი გამოცემა წიგნისა „ვ. ი. ლენინის კაბინეტი და ბინა კრემლში“.

ეს არის მუზეუმის დაწერილებითი მეგზური. აქ აღწერილია ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტი კრემლში, ბიბლიოთეკა, ბინა, რომელშიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ოჯახი ცხოვრობდა. მეგზური ასახავს მუშებთან და გლეხებთან ბელადის შეხვედრებს.

ახალ გამოცემაში ავტორებმა — ზ. სუბოტინამ, ლ. კუნეცკაიამ, კ. მაშტაკოვამ გამოიყენეს მთელი რიგი ახალი მასალები და ამასწინათ ნაპოვნი დოკუმენტები. პირველად იბეჭდება წერილები, რომლებიც 1932-1934 წლებში გაუგზავნეს ნ. კ. კრუპსკაიას მაგნიტოგორსკის სკოლის ბავშვებმა. დაწერილებითაა გაშუქებული ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას მუშაობა მოგონებებზე.

ახალი გამოცემა კარგადაა ილუსტრირებული. მასში მოთავსებულია ზოგიერთი იშვიათი ფოტოსურათი.

(საკადესის კორ.).

მოსკოვი.

გაქო მიიღებს მტკვრის წყალს

ბაქო, 3 აპრილი. (საკადესის კორ.). „სამხრეთგზსადენმშენის“ ტრესტის პირველი კოლონის მუშებმა ტრანშეაში ჩააწყვეს ანტიკოროზიული საფარიანი მილები. ტრესტის კოლექტივს, რომელმაც სტარტი აიღო პატარა სოფელ ათბულაყის რაიონში (50 კილომეტრზე ბაქოს სამხრეთ დასავლეთით), დაკალებული აქვს მტკვრის წყალსატარი ფოლადის მაგისტრალის მშენებლობა. დღეს მშენებლობაზე ჩამოიტანეს ტექნიკის დიდი პარტია — ბულდოზერები, მილჩასაწყობები, საიზოლაციო აგრეგატები. ტექნიკა გათვალისწინებულია მეორე კოლონისათვის, რომელიც მილსადენს გაიყვანს ათბულაყიდან მტკვრის ნაპირამდე.

დაპროექტებელთა წანაფიქრით, ბაქოს სამრეწველო საწარმოები და საცხოვრებელი სახლები მტკვრის წყალს მიიღებენ ორი 135-კილომეტრიანი წყალსატარით. დღეღამის განმავლობაში ბაქო მიიღებს იმდენ წყალს, რამდენსაც ქალაქი ამჟამად იღებს ორი მოქმედი მილსადენით.

მაგისტრალის პირველ რიგს მშენებლები საექსპლოატაციოდ წელს გადასცემენ.

უნგრელ მეგობრებთან ერთად

3 აპრილს თბილისში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 24 წლისთავს, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში მიიკრიბნენ საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების აქტივისტები, საბჭოთა არმიის ვეტერანები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი შ. ყარყარაშვილი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ბიგოშვილი და სხვ.

კრება გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. შვანიამ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ქ. სიხარულიძემ. მან ილაპარაკა იმ დიდ ცვლილებებზე, რომლებიც უნგრეთის მოწა-წყალზე მოხდა სახალხო ხელისუფლების წლებში.

სოციალისტური შრომის გმირმა, „თბილისგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა ბ. ობოლაძემ, პროფესორმა ვ. პარტაძემ, უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. ლომაძემ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს უსურვეს შემდგომი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში უნგრელი ხალხის საკეთილდღეოდ.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისალმები გაუგზავნეს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმს ბუდაპეშტში და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სსრ კავშირში.

კრებას დაუკავშირდა უნგრეთისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენის გახსნა.

(საკადესი).

სკკპ დელეგაცია პელსინკში

ჰელსინკი, 2 აპრილი. (საკადესი). ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს აქ ფინეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ნ. პელშე (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ფ. ა. სუბოტინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ვ. გეორგიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ს. კულიჩენკო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ა. ს. ბელიაევი.

ფინელ კომუნისტთა ყრილობა

ჰელსინკი, 3 აპრილი. (საკადესის კორ.). დღეს ჰელსინკის კულტურის სახლში გაიხსნა ფინელ კომუნისტთა XV ყრილობა. ყრილობის დელეგატები მოისმენენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, განიხილავენ პარტიის ახალი პროგრამისა და ახალი წესდების პროექტებს, აირჩევენ ხელმძღვანელ ორგანოებს. ყრილობა გახსნა ფინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ აარნე საარინენმა.

გაემგზავრნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში

სსრ კავშირის მთავრობის დავალებით პრაღაში ჩავიდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი და სამოქალაქო ავიაციის მინისტრის მოადგილე ბ. პ. ბუგაევი.

ა. ა. გრეჩკო და ვ. ს. სემიონოვი, რომლებსაც ახლდა სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ს. ვ. ჩერვონენკო, მიიღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა.

* * *

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო შეხვდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრს, გენერალ-პოლკოვნიკ მ. ძურს.

ა. ა. გრეჩკო ეწვია საბჭოთა არმიის ცენტრალური ჯგუფის ჯარების ნაწილებს. (საკადესი).

ვიზიტი დამთავრდა

სოფია, 3 აპრილი. (საკადესი). ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი სსრ კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის, არმიის გენერალის ს. მ. შტემენკოს თანხლებით ბულგარეთიდან გაემგზავრა, იეწყება ბულგარეთის დელეგაციათა საგენტო.

12 აპრილს მასლოგრივი კომუნისტური შაბათობაა

ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას.

ვ. ი. ლენინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „აგიტატორის“ ეს სარედაქციო სტატია დაბეჭდილია მარტის ნომერში.

□ □

ბოლს საბჭოთა კავშირში აღინიშნება სოციალისტური შეჯიბრების, როგორც მასობრივი პატრიოტული მოძრაობის, ჩასახვასთან და განვითარებასთან დაკავშირებული რამდენიმე თარიღი. 12 აპრილს სრულდება ორმოცდაათი წელი მოსკოვ-მახარაძისაგელი სადგურის დეპოში გამართული პირველი კომუნისტური შაბათობიდან, რომელიც ვ. ი. ლენინმა წინასწარმეტყველურად შეაფასა როგორც დიადი თაოსნობა, კომუნისტური შრომის გამარჯვებისაკენ შემოგრუნების დასაწყისი, კომუნიზმის ფაქიური დასაწყისი.

ახალი საზოგადოების მშენებელთა შემოქმედებითი აქტივობის გაშლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1929 წლის იანვარში ვლადიმერ ილიას-ძის სტატიის გამოქვეყნებას — „რაგორ მოგაყოთ შეჯიბრება?“. იმავე წლის მარტში, ზუსტად ორმოცი წლის წინათ, ჩვენი ქვეყანა შეესწრა „პრავდაში“ დაბეჭდილმა ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცის“ კოლექტივის მოწოდებამ დაწყებულიყო საერთო-მუშური შეჯიბრება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და საბჭოთა ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის. ამ ინიციატივამ მალე ჰპოვა ფართო გამოძახილი, და უკვე ერთი თვის შემდეგ, აპრილში, XVI სრულიად საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ მიიღო მიმართვა მუშებისა და მშრომელი გლეხებისადმი, მოუწოდა მათ გაეჩაღებინათ შეჯიბრება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

განვლილ ათეულ წლებში შეჯიბრება გადაიქცა ხალხის ძალების მობილიზაციისა და შეკავშირების მძლავრ საშუალებად, გახდა მეურნეობის კომუნისტური გაძღოლისა და აღზრდის სკოლა მილიონობით მშრომელთათვის, შეიძინა ნამდვილი საერთო-სახალხო გაქანება და გამდიდრდა ახალი შინაარსით. როგორც მისი განვითარების ყველა ეტაპზე, სოციალისტური შეჯიბრების დღევანდელი ახალი ნიშნები მჭიდროდ დაკავშირებულია პარტიის ეკონომიურ პოლიტიკასთან. სკკპ XXIII ყრილობაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ თანამედროვე პირობებში მისი ძირითადი პრინციპებია გაძლიერის ეკონომიური მეთოდებისა და სტიმულების როლი სახალხო მეურნეობის მართვაში, ძირეულად გაუმჯობესოს სახელმწიფო დაგეგმვა, გააფართოოს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივა, აამაღლოს საწარმოო კოლექტივების პასუხისმგებლობა და დაინტერესება თვითანთ საქმიანობის შედეგებით.

ამ პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება ,ხელს უწყობს საჭირო პირობების შექმნას ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ზრდისა და ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის.

ამის დამჯერებელი დადასტურებაა ხუთწლედის პირველი სამი წლის შედეგები, რომლებიც ახალი ძალით ცხადყოფენ სოციალისტური წყობილების ამოუწურავ შემოქმედებითს შესაძლებლობებსა და დიდ უპირატესობებს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპები ამ წლებში უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების — ეროვნული შემოსავლის, სამრეწველო წარმოების მოცულობის, ტრანსპორტის ტვირთბრუნვის, მოსახლეობის რეალური შემოსავლის, მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის, საცალო საქონელბრუნვის, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დარგში — წინ უსწრებს სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ საშუალო-წლიურ ტემპებს. უდავო და მნიშვნელოვანია წარმატებანი საბჭოთა სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში: გასულ წელს მისმა საერთო პროდუქციამ 81 მილიარდი მანეთი შეადგინა და უფრო მაღალი იყო, ვიდრე ოდესმე წინათ.

მიმდინარე ხუთწლედი შეეასრულოთ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, უკეთ გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი სოციალისტური წარმოების შედგომი დინამიკური ზრდის ინტერესებისათვის — ეს არის მთავარი მიზანი ახლანდელი საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებისა ლენინური იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ მიზნის ეკვემდებარება პრესაში გამოქვეყნებული ახალი ვალდებულებანი მოსკოველებისა და ლენინგრადელებისა, მაგნეტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის და ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის, ბერეზნიკის კალიუმის კომბინატის და კომბინატ „დონეცუგოლის“, ოქტომბრის რკინიგზისა და შავი ზღვის სანაოსნოს, გლუხოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ბამბეულის კომბინატისა და გაერთიანება „თათნავოობის“, მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებისა, რომლებიც შეჯიბრების თაოსნებად გამოვიდნენ თავიანთ დარგებში. მათი ვალდებულებანი ღირსშესანიშნავია იმით, რომ პირველ პლანზე აყენებენ ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანებს.

მსოფლიოში ახლა ჩადგება თავისი მასშტაბებით უმაგალითო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. საბჭოთა კავშირი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ახალი საზოგადოების მშენებლობის ტემპების დაჩქარების წყაროა, ძირითადი მოკავშირეა ლენინური ხუთწლედის დიადი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. სწორედ ამ დარგში გადის დღეს ორი სისტემის ისტორიული შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი ფრონტი. მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი ინტენსიური განვითარება, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ფართოდ დანერგვა არა მარტო ცენტრალური ეკონომიური ამოცანაა, არამედ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაც.

მოწინავე კოლექტივების ახალ ვალდებულებებში აღებულია **ეროვნულ-ეკონომიური ტექნიკური პროგრამის** კურსი, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის გადამწყვეტი პირობა. მაგალითად, მოსკოველები პირობას იძლევიან წელს განახორციელონ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია ოთხ საწარმოში, 205 საამქროში და უბანზე, საეკსპლოატაციოდ გადასცენ 530 ავტომატური, ნახევრადავტომატური, ნაკადურადმექანიზებული და კონვეიერული ხაზი, რაც დასაურდენი ბაზა გახდება შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა 25 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ლენინგრადის მშრომელებმა პირველად ასეთ მსხვილ სამრეწველო ცენტრში შეჯიბრების პრაქტიკაში იკისრეს ვალდებულებანი, რომელთა მიზანია მონათესავე საწარმოთა და სამეცნიერო-საკვლევ, აგრეთვე საპროექტო ორგანიზაციათა გაერთიანებული ძალებით გადაწყვეტონ ტექნიკური პროგრესის ძირეული პრობლემები. აქ პროდუქციის მატების სულ მცირე 95 პროცენტი ახლა მიღებული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

სსრ კავშირში ეკონომიური რეფორმა, რომელმაც გასული წლის დამლევისათვის უკვე 27 ათასი საწარმო მოიცვა, მწვავედ აყენებს წარმოების რენტაბელობის გადიდების საკითხებს. არა მარტო მეტი, არამედ უკეთესიც, უფრო იაფიც — აი მიზანი, რომელიც მთავარი გახდა დგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის პირობებში. ვალდებულებანი ითვალისწინებენ ნაწარმის საუკეთესო ხარისხისათვის ბრძოლის კონკრეტულ გზებს, პროდუქციის სრულყოფილ სახეობათა შემუშავებასა და დამზადებას, მისი თვითღირებულების შემცირებას და მაქსიმალური მოგების მიღებას. წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ამაღლებას ხელს შეუწყობს აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვა, ყველა უბანზე რიტმული, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის ეკონომია და სხვა ღონისძიებანი.

ხუთწლედის დავალებანი ასახავენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ორგანულ ერთიანობას და მასების ცხოვრების დონის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის რესურსების რაოდენობრივ ზრდას და ეკონომიკაში შემდგომი ღრმა ხარისხობრივ ცვლილებებს, საწარმოო ძალების ზრდას და სოციალურ - ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფას. კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს თანამედროვე ეტაპზე ასე ფართოდ მოიცავენ ახალი ვალდებულებებიც. ეს ვალდებულებანი შეიცავენ უდიდეს ზრუნვას ადამიანზე — დამატებით ღონისძიებებს კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საბინაო მშენებლობის დაჩქარებისათვის, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ბევრ ქარხანაში, შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით, პარტიული ორგანიზაციები კვლავაც განაგრძობენ კოლექტივების სოციალური განვითარების დაგეგმვას.

ცხადია, ეს მხოლოდ ის ყველაზე არსებითი ნიშნებია სიახლისა შეჯიბრებაში, რომლებიც კონკრეტულ სახეს იღებენ თვითეული საწარმოს, რაიონის, ქალაქისა თუ დარგის პირობების შესაბამისად.

„ერთიანობას ძირითადში, მთავარში, არსებითში,—ამბობდა ვ. ი. ლენინი სტატიაში „**რაგორ მოგაყოთ შეჯიბრება?**“, — **კი არ არღვევს, არამედ უზრუნველყოფს მრავალგვარობა ფორმებში, ადგილობრივ თავისებურებებში, საქმისადმი მიდგომის ხერხებში...**“

სწორედ ასეთი მრავალგვარობა, ასეთი კონკრეტულობა ამაღლებს ვალდებულებათა მიზანსწრაფულობასა და ქმედითობას.

ამ ასეგის ცოცხალი შემოქმედება ახალი ფორმებით ამდიდრებს შეჯიბრების პრაქტიკას. მოსკოვის ქარხნებში გაჩაღდა ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში პირადი დავალებების ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის შესრულებისათვის. ბელორუსიის მშრომელთა კოლექტივები გამოვიდნენ წინადადებით გამოცხადებულ იქნას ხუთწლედის მეოთხე წელი დაკვრითი მუშაობის ლენინურ წლად, და ამ თაოსნობამ აქტიური მხარდაჭერა ჰპოვა რესპუბლიკაში. კურსკის ოლქის მუშები, კოლმეურნენი, მოსამსახურენი ერთმანეთს ეჯიბრებიან იმ უფლებისათვის, რომ მიიღონ „ლენინური შრომითი წიგნაკი“, სადაც თვითეული იწერს იმ სასიკეთოს, რის გაკეთებაც მას სურს ისტორიული იუბილესათვის. დონბასსა და გორკში ფართოვდება მოძრაობა დევიზით: „არც ერთი ჩამორჩენილი შენს გვერდით!“ სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს კონკურსები პროფესიაში საუკეთესოს წოდებისათვის, ახალ ძალებს იკრებს მონათესავე საწარმოთა შრომითი თანამგრძობობა.

ხუთწლედის მეოთხე, უკანასკნელისწინა წელში რომ შევიდნენ, მრეწველობისა და მშენებლობის მშრომელნი თავიანთ ღონისძიებებს მიმართავენ წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. სოფლად გაჩაღდა ბრძოლა იმისათვის, რომ სანიმუშოდ მოემზადონ გაზაფხულისათვის, უსწრაფესად განახორციელონ გადაწყვეტილებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა, რომელმაც დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის კონკრეტული პროგრამა. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, სსრ კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკა ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სახელოვან ლენინურ თარიღს. ახორციელებს რა საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ გრძნობებსა და შემოქმედებითს აქტივობას, **სოციალისტური შეჯიბრება ეხმარება ხალხს პარტიის გენერალურ ლენინურ ორგანიზაციულ ამოცანებს ამ ეტაპზე, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, ღღითიღღე გასწიოს აუცილებლად უფრო და უფრო წინ, აუცილებლად მიაღწიოს მეტს და მეტს.**

შეჯიბრების ახალი მიჯნები

დიადი თაოსნობა გრძელდება

ვ. მახალდიანი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანი მეცნიერი

რ. დვალის დაბადების 60 წლისთავის გამო

◆

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი რაფიელ რაფიელის-ძე დვალი ეკუთვნის იმ ქართველ მეცნიერთა თაობას, რომელებიც საბჭოთა წყობილების პერიოდში აღიზარდნენ და გამოვიდნენ სამეცნიერო ასპარეზზე.

თავისი დაუღალავი შრომით რაფიელ დვალმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენს რესპუბლიკაში ტექნიკის მეცნიერებათა განვითარების საქმეში. საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ არის ცნობილი მისი მეცნიერული შრომები, რომლებიც გამოირჩევა როგორც დასმული საკითხების ორიგინალობით, ისე მათი დამუშავებისა და გადაწყვეტის მაღალი დონით.

რ. დვალი დაიბადა 1909 წელს. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში. 1931 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მიიღო ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად, ხოლო 1932 წლიდან კონსტრუქტორ-მკვლევარად ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში პროფ. კ. ამირაჯიბთან. აქ ის გაიტაცა მობილურ მანქანათა დინამიკისა და გაანგარიშების პრობლემებთან დაკავშირებულმა საკითხებმა. რ. დვალი იმავე წელს პროფესორმა კ. ამირაჯიბმა მიიწვია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე თავის ასისტენტად, იმ დროისათვის ჯერ კიდევ სამოხალოდ ჩამოყალიბებულ სტრატეგიურ და საავტომობილო დისციპლინებში სამუშაოდ.

სამეცნიერო მუშაობის დასაწყისში რ. დვალმა შესარულა გამოკვლევები, რომლებიც დაკავშირებული იყო ახალი, როგორც ჩვენი, ისე უცხოური ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოცდასთან. ახალგაზრდა მკვლევარმა სწრაფად აითვისა მანქანების მეცნიერული გამოცდის პრინციპები და ის მეთოდები, რომლებიც საფუძვლად ედო ავტომობილების, ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაპრიექტებას.

რ. დვალმა მაშინვე მიაქცია ყურადღება, რომ მობილურ მანქანათა თეორია ძირითადად გამომდინარეობდა მოძრაობის კერძო შემთხვევებიდან და ამის გამო იგი არ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა მობილური მანქანების შექმნას მთიანი რაიონებისათვის, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორიის 30 პროცენტი უჭირავს. ამან განაპირობა ის, რომ რ. დვალმა დაიწყო მობილურ მანქანათა მოძრაობის მექანიკის ზოგადი შემთხვევების შესწავლა, რომელიც შემდეგ ამ დარგში ახალი მეცნიერული მიმართულების ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ამ მიმართულებით მუშაობის განვითარებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო სამთო პირობებში მობილურ მანქანათა მუშაობის თავისებურებათა შესწავლა, რასაც რ. დვალი ჯერ კიდევ 1936 წელს შეუდგა. გამოკვლევათა შედეგებმა იმთავითვე ინტერესი გამოიწვია და საპიალისტების ყურადღება მიიქცია.

რ. დვალის პირველი გამოქვეყნებული შრომები მიეძღვნა მობილურ მანქანათა წევის გამოანგარიშების მეთოდებს, რაც საფუძველი გახდა მისი საკანდიდატო დისერტაციისა, რომელიც მან 1937 წელს დაიცვა. ერთი წლის შემდეგ, 1938 წელს, მას ანიჭებენ დოცენტის სამეცნიერო წოდებას.

ამის შემდეგ რ. დვალი დაინტერესდა მუხლუხა სისტემის გამოკვლევითა და მისი თეორიით. აქ მიღებულ შედეგებს მალე მიაქცია ყურადღება ტანკების და გაანგარიშების პრობლემებთან დაკავშირებულმა საკითხებმა. რ. დვალი იმავე წელს პროფესორმა კ. ამირაჯიბმა მიიწვია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე თავის ასისტენტად, იმ დროისათვის ჯერ კიდევ სამოხალოდ ჩამოყალიბებულ სტრატეგიურ და საავტომობილო დისციპლინებში სამუშაოდ.

სამეცნიერო მუშაობის დასაწყისში რ. დვალმა შესარულა გამოკვლევები, რომლებიც დაკავშირებული იყო ახალი, როგორც ჩვენი, ისე უცხოური ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოცდასთან. ახალგაზრდა მკვლევარმა სწრაფად აითვისა მანქანების მეცნიერული გამოცდის პრინციპები და ის მეთოდები, რომლებიც საფუძვლად ედო ავტომობილების, ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაპრიექტებას.

ამის შემდეგ რ. დვალმა ორი სახელმძღვანელო გამოაქვეყნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომობილებისა და ტრაქტორების მშენებლობის სპეციალობის სტუდენტებისათვის. ისინი რამდენჯერმე გამოიცა და დღემდე ძირითად სახელმძღვანელოებად ითვლება.

1941-1943 წლებში რ. დვალი მონაწილეობს დიდ სამამულო ომში. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სათავეში უდგება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მანქანების საცდელ სადგურს.

ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც გადაწყდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, დაისვა საკითხი ავტომობილების მშენებლებისა და კონსტრუქტორების მომზადების შესახებ. 1946 წელს რ. დვალი ავტომობილების, ტრაქტორებისა და საავტოტრაქტორო ძრავების კათედრას აყალიბებს და მას თვითონვე უდგება სათავეში. დრო არ იფიქნდა. აქ გამომუღაენდა რ. დვალის მეცნიერულ-ორგანიზატორული უნარი. სულ მოკლე ხანში მის მიერ ჩამოყალიბებული კათედრა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე გახდა ამ დარგში. ამ კათედრის მიერ აღზრდილი ავტომობილის და ტრაქტორის კონსტრუქტორები საკმაოდ ცნობილი გახდნენ საბჭოთა კავშირში.

დროის ამ მონაკვეთში რ. დვალი თავის თანამშრომლებთან და ასპირანტებთან ერთად განაგრძობს მეცნიერულ მუშაობას მობილური მანქანების თეორიის განვითარებისა და მათი გამოცდის მეცნიერული მეთოდების დასაბუთებაზე. ამ შრომის შედეგები ასახული იყო რ. დვალის სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც მან 1948 წელს წარჩინებით დაიცვა მოსკოვში. ამავე საკითხებს შეეხო იგი შემდგომ გამოსულ მონოგრაფიაში. ამ შრომების საფუძველზე აკადემიკოს ბ. სეიჩშვილის 1950 წელს თავის საცდელმძღვანელოში შეიტანს ახალი თავი. ამავე 1948 წელს რ. დვალს ენიჭება პროფესორის სამეცნიერო წოდება.

მას აქვს მნიშვნელოვანი გამოკვლევები ავტომობილის თეორიაშიც — სამთო ავტომობილის შექმნასთან დაკავშირებით. ამგვარად ეს შედეგები დიდი წარმატებით ინერგება პრაქტიკაში.

კარგად არის ცნობილი რ. დვალის მიერ შექმნილი ქართული სკოლა მობილურ მანქანათა დარგში. მისი მეცნიერული მიღწევები სათანადოდ დაფასდა, იგი 1955 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად მანქანათმცოდნეობის დარგში.

დიდია რ. დვალის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. ფართო სამეცნიერო ინტერესებმა, ნაყოფიერმა მუშაობამ, მოწადინებისადმი გულისხმიერმა და პრინციპულმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ მის გარშემო ყოველთვის თავს იყრიან ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები. ის სამეცნიერო კადრების ამზადებს არა მარტო საქართველოსათვის. მასთან ასპირანტურაში ნახავთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან მოვლინებულ სპეციალისტებს. მისი ხელმძღვანელობით 22 მეცნიერ მუშაკს აქვს დაწერილი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

მეცნიერი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყოველი თავისი შრომის გამოქვეყნებას, მონოგრაფია იქნება ეს, სახელმძღვანელო, სამეცნიერო შრომა თუ სამეცნიერო-პოპულარული სტატია. ამ მხრივ ის დიდ მოთხოვნას უყენებს თავის მოწაფეებსაც. მისი ყოველი ნაშრომი არის ადვილად გასაგები, დახვეწილი, პოპულარული ენით დაწერილი.

რ. დვალს დიდი მუშაობა აქვს გაწეული ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დასამუშავებლად. მრავალი წლის შრომის შედეგია 1957-1958 წლებში რ. დვალის, ვ. ბერძენიშვილის და რ. ღამბაშიძის რედაქციით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული ორტომეული — ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელიც 80 ათას სიტყვა-ტერმინს შეიცავს. მასიერ რედაქციით არის გამოცემული რამდენიმე დარგობრივი ტექნიკური ტერმინოლოგია.

1958 წლის რ. დვალი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აირჩია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, სადაც ის დღემდე განაგრძობს მუშაობას. მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მას 1961 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

სამეცნიერო, პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ მუშაობასთან ერთად რ. დვალი დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევიდა: წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილებას. ექვსი წლის მანძილზე იყო საზოგადოებრივ საწყისებზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკის“ რედაქტორი.

ამჟამად რ. დვალი არის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოთა საბჭოს ეროვნული გაერთიანების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო ტიტულიანი საბჭოს — „მანქანათა თეორია და მართვის პროგრესები“ — წევრი და ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი. ახლახან ის აირჩიეს ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიისა და ფილოსოფიის საბჭოს ეროვნული გაერთიანების წევრად.

რ. დვალი ორჯერ არის არჩეული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, საქართველოს სსრ რესპუბლიკის მე-5, მე-6, მე-7 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და უკანასკნელი ორი მოწვევის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

რ. დვალი დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

შესანიშნავ მეცნიერს და პედაგოგს, გულისხმიერ ადამიანს, საზოგადო მოღვაწეს რ. დვალს ვულოცავთ დაბადების 60 წლისთავს, მთავრობის უმაღლეს ჯილდოს და ვუსურვებთ მომავალშიც ასევე ნაყოფიერი ყოფილიყოს მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ვ. მახალდიანი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბოლივრულად გამოვიყენოთ მიწა

თბილისის ირგვლივ მდებარე რაიონების მიწათმოქმედთა საზრუნავი

მებოსტნეობის ფართობში ერთსა და იმავე ნაკვეთზე ბოსტნეული კულტურები ითესება განმეორებით, რაც საგრძნობლად ზრდის მოსავლიანობას. სამწუხაროდ, განმეორებით თესვას მხოლოდ აქა-იქ აწარმოებენ.

ფაქტები გვიჩვენებს, რომ ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ხვედრითი წონა როგორც სასოფლო-სამეურნეო საგარეუბნებში, ისე ნათეს ფართობში მცირეა. მაგალითად, ბოსტნეული კულტურების ხვედრითი წონა თბილისის საგარეუბნო ზონის მიწებში არ აღემატება 2 პროცენტს, ზოგან ის 0,5 პროცენტზე ნაკლებია. კიდევ უფრო მცირეა ბაღჩეული კულტურების ხვედრითი წონა.

თბილისის საგარეუბნო ზონის კოლმეურნეობებში მაქსიმალურად უნდა გავადიდოთ ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი როგორც დახურულ, ისე ღია გრუნტში ახალი მიწებისათვისების ხარჯზე, მხოლოდ იქ, სადაც ადგილმდებარეობა, შერჩეული ნიადაგები და სარწყავი ქსელის გაყვანილობა ამის საშუალებას იძლევა.

რადგან ბოსტნეული, რძე და რძემოვაკის პროდუქცია მალფუჭებადია და ტრანსპორტირებას ვერ იტანს, ამიტომ მათი მიდება და შემზადება ქალაქში უნდა ვაწარმოოთ ქალაქის საგარეუბნო ზონის რადიუსში.

მებოსტნეობა დიდი შრომატევადობით ხასიათდება. თბილისის საგარეუბნო ზონის კოლმეურნეობებში ბოსტნეული უნდა ვთესოთ რაც შეიძლება დიდ მასივებად. ეს საგრძნობლად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

თბილისისა და რუსთავის, როგორც სამრეწველო ცენტრების, მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მაღალხარისხოვანი ბოსტნეულ-ბაღჩეულით, კარტოფილით, რძისა და ხორცის ნაწარმით, კვერცხით, ყურძნით და ხილით წარმოადგენს სერიოზულ საქმეს და მოითხოვს დაძაბულ შრომას, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, ინტენსიფიკაციას, საგზაო და სატრანსპორტო საქმის რეგულირებას.

**ბოსტნეულის, ხილ-კენკროვანთა, ბოსტნეულ-ბაღჩეულ-კარტოფილის, ხორცისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულ-ხორცის ტიპის ფაბრიკებისა და ინკუბატორიუმების ფართო ქსელი,

საქართველოს სოფელი

მსოფლიო დღეს

ერთიანი

დეპეშათა სააგენტოების იუწყებიან

ქრონიკა • პროგლემები

გულთბილი შეხვედრები მარიკოს მიწაზე

რაბატი, 2 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). ბუშინ სალამის რიადის სასახლეში მარიკოს მეფე ჰასან მეორემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და შისმა თანმხლებმა პირებმა დათვალიერეს ქალაქი. ისინი გაეცნენ მარიკოს ძველ ისტორიულ ძეგლებს, შემდეგ დათვალიერეს მარიკოს მეფე მუჰამედ მეხუთის მშენებარე მავზოლეუმი, რომელიც მარიკოს თანამედროვე არქიტექტურისა და ხელოვნების შესანიშნავი ქმნილებაა, ყველნენ უფენ უდაიში, შუა საუკუნეთა მაგრიტანულ ციხე-სიმაგრეში, რომელშიც ახლა არაბული ხელოვნების მუზეუმია.

ქალაქის დათვალიერების დროს საბჭოთა სტუმრებს ახლდნენ საპატიო კომიტეტის წევრები სახელმწიფო მინისტრის ადგილსაბამი უფრო მეტად განმტკიცებას და საშუალებას გვაძლევენ ერთად ვიმოქმედოთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

მეფე ჰასან მეორემ იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-მარიკოს მომავალ მოლაპარაკებას დადებითი შედეგები მოჰყვება და რომ ორ ქვეყნის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრა იქნება წვლილი ყველა კეთილი ნების ადამიანის მეცადინეობაში მშვიდობის დამყარებისათვის, სიმშვიდისა და სტაბილურობის მიღწევისათვის.

საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი გულითადად მისალმება მეგობარ მარიკოელ ხალხს და საბჭოთა ხალხის საუკეთესო სურვილები გადასცა.

ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებას ბევრად უწყობენ ხელს სსრ კავშირისა და მარიკოს სახელმწიფო მოღვაწეთა პირადი კონტაქტები და განაცხადა: ეს ურთიერთობა ამ ბოლო ხანს კიდევ უფრო განმტკიცდა და გაფართოვდა. იზრდება ეკონომიური თანამშრომლობა, გადიდდა საგაჭრო ბრუნვა, ძლიერდება კულტურული გაცვლა, დასაბამი მიეცა მეცნიერულ-ტექნიკურ ურთიერთობას.

საერთაშორისო ასპარეზზე, თქვა მან, საბჭოთა კავშირი და მარიკო ხელმძღვანელობენ ერთნაირი ან დაახლოებული პოზიციებით ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის საკითხებში. ეს კარგ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნების კონტაქტები, თანამშრომლობა და ერთობლივი გამოსვლები თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ პრობლემებზე.

შეეხო რა ახლანდელ საერთაშორისო ვითარებას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე განსაკუთრებით შეჩერდა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობაზე, რომელიც ისრაელის აგრესიის შედეგად წარმოიშვა. საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა მან, მტკიცედ უჭერს მხარს არაბულ სახელმწიფოებსა და ხალხებს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხელი შეუწყოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემების სამართლიან გადაწყვეტას. ნ. ვ. პოდგორნიმ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მეფე ჰასან მეორე და მარიკოს მთავრობა მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთის პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგება.

ნ. ვ. პოდგორნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის შენარჩუნება ბევრად დამოკიდებულია ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს აქტივობაზე.

საბჭოთა ხალხი, განაცხადა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ემზადება ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ოქტომბრის რევოლუციისა რუსეთში, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობით მოხდა, თქვა მან, ეროვნული განთავისუფლებისათვის ყველა ხალხის მოძრაობის ძლავრი სტიმული იყო. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში დაკრული ნაბათს ესოდენ ფართოდ გამოეხმაურნენ არაბულ აღმოსავლეთშიც.

დასასრულ ნ. ვ. პოდგორნიმ მარიკოს ხალხს უსურვა ახალი წარმატებანი თავისი სამშობლოს ეკონომიურად განვითარებულ, აყვავებულ სახელმწიფოდ გარდაქმნისათვის ბრძოლაში და წარმოთქვა სადღეგრძელო საბჭოთა და მარიკოელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარების აღსანიშნავად.

ბერლინის კომპარტიის ყრილობის წინ

ბერლინი, 3 აპრილი. (საკდესი). ლოზუნგით „ერთიანი მოქმედებით სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიული განახლებისათვის“ გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ თავისი ყრილობის წინ დაიწყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პლაკატების გავრცელების კამპანია, რომლებიც ახახავენ გერმანიის კომპარტიის მიზნებსა და ამოცანებს.

როგორც ადნის საგენტო ბონდან იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ყრილობაზე, რომელიც 12-13 აპრილს გაიმართება სამრეწველო რურესენის ცენტრში, უკვე არჩეულია 721 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 243 დელეგატი სათათბირო ხმით.

1883 რაიონში ან ოლქში უკვე მოეწყო, გერმანიის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების გამგეობათა თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების, აგრეთვე პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა უმრავლესობას შეადგენენ პროფკავშირელი და ახალგაზრდა აქტივისტები, აგრეთვე მშრომელთა საწარმოო ორგანიზაციების აქტივისტები.

კომუნისტმა გაიმარჯვა

პარიზი, 2 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატი არჩეულია ქალაქ ნუაიეს (ლუარისა და შერდს დეპარტამენტში) მუნიციპალურ საბჭოში.

მან გაიმარჯვა ნაწილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში, რომელიც გაიხსენ კვირას გაიმართა. პირველი შეფასებითაა, რომ საფრანგეთის კომპარტიის წევრი შედის ქალაქ ნუაიეს მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობაში.

პარლამენტარები გმოგენ

ლონდონი, 3 აპრილი. (საკდესი). მემარცხენე ლეიბორისტ პარლამენტართა ჯგუფმა სასტიკად დაგმო მთავრობის გეგმები ახალი ანტიმუშური კანონმდებლობის დარგში. განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს თემთა პალატის 30-ზე მეტი წევრი, ხაზგასმულია, რომ ამ გეგმების განხორციელება გამოიწვევს ყველაზე სერიოზულ შეტაკებას მთავრობასა და ლეიბორისტულ მოძრაობას შორის.

მთელ ქვეყანაში, ნათქვამია განცხადებაში, იზრდება საპროტესტო კამპანია მთავრობის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ იერიში მიიტანოს პროფკავშირთა უფლებებსა და თავისუფლებებზე. ქარხნებიდან და შახტებიდან, პროფკავშირებიდან და ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებიდან მოდის ცნობები, რომ მუშებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გამოვიდნენ ამ პროექტების წინააღმდეგ.

ერთიანი

ბიბლიოთეკა

ზეშფოთება, პროტესტები

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ი. აბლამოვი იუწყება:

„ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდები, რაც გრძელდება ნეკადის შტატში, ამ შტატისა და მეზობელი შტატების მცხოვრებლებს შეშფოთებასა და პროტესტებს იწვევს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, 1951 წლის იანვრიდან ამ შტატში მოეწყო 355 მიწისქვეშა გამოცდა, რომლებიც ოფიციალურად იყო გამოცხადებული.

ნევადის, არიზონის, კალიფორნიის, აიდაჰოს, ვაიომინგის, იუტის, ორეგონისა და კოლორადოს შტატების საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მცხოვრებნი გამოთქვამენ შიშს, რომ მიწისქვეშა ატომური გამოცდების განგრძობა არღვევს ნიადაგთა სტრუქტურას, წამლავს მიწისქვეშა წყლებს.

აფეთქებებმა შეიძლება გამოიწვიოს მიწისძვრები, ჰაერის მოწამვლა რადიაქტიური მტვრით. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ ატომური იარაღის ერთ-ერთმა ყველაზე მძლავრმა გამოცდამ გასული წლის დეკემბერში ნევადის შტატში გამოიწვია სერია მიწისქვეშა ბიძგებისა, რომლებიც ერთ თვეს გაგრძელდა.

პროტესტებმა გამოცდების წინააღმდეგ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მთავრობის ატომური ენერგიის კომისია იძულებული გახდა მოეწყო ლას-ვეგასში (ნევადის შტატი) ამერიკის შეერთებული შტატების რვა დასავლეთ შტატის ხელისუფალთა წარმომადგენლების სამდღიანი თათბირი.

ოქრის მარაგი კლებულობს

პარიზი, 3 აპრილი. (საკდესი). მარტის განმავლობაში საფრანგეთის ოქროსი და ვალუტის მარაგი შემცირდა 687 მილიონი ფრანკით და 31 მარტისათვის შეადგინა 19.678 მილიონი ფრანკი. ეს ნათქვამია საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს კოუნიკეში.

ტელეტაიპის

ლენტიდან

პროვოკაციები

ამანი, 3 აპრილი. (საკდესი). ისრაელის მხედრიონი განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს იორდანია-ისრაელის ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე.

როგორც აღნიშნულია იორდანიის სამხედრო სარდლობის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებაში, გუშინ 13.25 ადგილობრივი დროით იორდანიის არმიის პოზიციებს აღ-მანშიის რაიონში, ტიბერიადის ტბის საბრძოლო, ძმიმე სანოლი იარაღი დაუშინეს. სროლა, რომელიც დაიწყო ისრაელის ჯარების პროვოკაციული მოქმედების შედეგად, 30 წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა.

წინააღმდეგობა

კაირო, 3 აპრილი. (საკდესი). ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ფართოვდება წინააღმდეგობის მოძრაობა.

როგორც აღნიშნულია პალესტინის „ეროვნული განთავისუფლების“ ორგანიზაციის კომუნიკეში, რომელიც მენის საგენტომ გამოაქვეყნა, ორგანიზაციის პარტიზანულმა რაზმებმა უმ ალ-სემნისა და აზ-ზირაას რაიონებში მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ისრაელის საოკუპაციო ჯარებს.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ არაბ პარტიზანთა ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია სამი სამხედრო ბანაკი, მოსპობილია ისრაელ ოკუპანტთა ტანკი და საცეცხლე პოზიცია.

ტრაგედია

ტოკიო, 3 აპრილი. (საკდესი). იუბეცუს შახტში, სადაც გუშინ 2.500 მეტრ სიღრმეზე ბაზი აფეთქდა, დაიღუპა 18 და დაშავდა 27 მუშა.

იუბეცუს ტრაგედია, რომელმაც ესოდენ დიდი მსხვერპლი გამოიწვია ერთად-ერთი როდია იაპონიის ქვანახშირის მრეწველობაში. მარტო შარშან უბედურ შემთხვევათა შედეგად იაპონიის შახტებში დაიღუპა 300-მდე კაცი, თითქმის 40 ათასი დაშავდა.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გუშინ იუბეცუში დაღუპული მეშახტეები მსხვერპლი არიან რაციონალიზაციისა, რომელსაც ახორციელებენ „ქვანახშირის მრეწველობაში მთავრობის ახალი პოლიტიკის“ შესაბამისად.

პირველი ატომური ელექტროსადგური

დელი, 2 აპრილი. (საკდესი). ინდოეთის პირველმა ატომურმა ელექტროსადგურმა ტარაპურში (ბომბეის მახლობლად) გუშინ დაიწყო მაკსიმალურ შტატებზე სამრეწველო საწარმოთა ელ. ენერგიით მომარაგება.

კოოპუნისტი

№-ბ გვერდი, პარასკევი, 4 აპრილი, 1969 წ.

ნატოს გაკოტრება

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ფირმენი გვაცუობინებს:

ახლა, როცა კანადის მთავრობა ნატოდან გასვლას ფიქრობს, ნათელი გახდა გაკოტრება ცივი ომის ამ კავშირისა, რომელიც ორი ათეული წელია წამლავს საერთაშორისო ატმოსფეროს.

აქაურ მიმომხილველთა აზრით ფრიად საგულისხმოა, რომ კანადას, რომელიც უოველთვის მხარს უჭერდა ვაშინგტონის პოლიტიკას, ახლა, საეჭვოდ მიაჩნია, რომ გონივრული იყოს ნატოში მონაწილეობა.

ჯერ კიდევ ამ ამბებამდე საღად მოაზროვნე ამერიკელი მეთვალყურენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნატო იშლება, რადგან საფუძველად უდევს ყალბი წანამძღვრები.

სენატორმა იუჯინ მაკარტმ პირდაპირ განაცხადა თავის წიგნში „ძლიერების ზღვარი“: „ნატო, სადაც აშკარად ბატონობს ამერიკის შეერთებული შტატები, უკვე მიუღებელია ჩვენი მოკავშირეებისათვის“.

მან აღნიშნა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები „უარს ამბობენ მისდიონ ამერიკის შეერთებულ შტატებს და გაადიდონ ნატოს მასშტაბი და ძლიერება“.

ჰანს მორგენტაუ, ჩიკაგოს უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის პროფესორი, ასევე ასკვნის თავის ამას წინათ გამოსულ წიგნში „ახალი საგარეო პოლიტიკა შეერთებული შტატებისათვის“. იგი ხაზს უსვამს, რომ ნატოს სამხედრო მანქანა საკმარისი არ არის, რომ გადაჭრას რთული და მრავალმხრივი პრობლემები, რომლებსაც ამ კავშირის წევრები აწყდებიან. ამის შედეგად, წერს იგი, „ახლა არ არის საერთაშორისო პოლიტიკის არც ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა შესახებ შესაძლებელია ერთიანი იყოს ნატოს ყველა წევრის შეხედულებანი“.

აგრესორთა ზარალი

ჰანოი, 3 აპრილი. (საკდესი). ზარალი მოსდით ვიეტნამის ბინძურ ომში მონაწილე ამერიკის არმიასა და საგარეო მარინერეტული ხროვის ჯარებს. ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იმოწმებს განთავისუფლების პრესის საგენტოს და იუწყება, რომ 31 მარტს კუანგჩის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში განხორციელებული საომარი მოქმედების შედეგად სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მოსპეს ამერიკა-საგონის ჯარების 300-ზე მეტი ჯარისკაცი.

„უნგრეთის ცაიტის“ პირველი ნომერი

ახალი გაზეთი

ბონი, 2 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვინოგრადოვი გვაცუობინებს:

გამოვიდა დასავლეთ გერმანიის კომუნისტთა გაზეთის „უნგრეთის ცაიტის“ („ჩვენი დრო“) პირველი ნომერი.

გაზეთის გამომცემელი კურტ ბაჰმანი, მიმართავს რა მკითხველებს, ხაზს უსვამს, რომ ახალი ყოველკვირეულის ამოცანაა „გამოხატოს მუშათა კლასის, აგრეთვე მთელი ეროვნული ძალების სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული ინტერესები.“

პირველ ნომერში დაბეჭდილია ინფორმაცია გერმანიის კომუნისტური პარტიის საქმიანობის შესახებ, რომელიც ემზადება თავისი პირველი ყრილობისათვის. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ახლა გერმანიის კომპარტიის მიმდინარე საოლქო კონფერენციების ყურადღების ცენტრშია პროგრამის პროექტი, რომელიც ყრილობის განსახილველად უნდა წარადგინონ.

დაბეჭდა ცნობა გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მაქს რაინანისა და რაინპაუზენის მაღაროელთა შეხვედრის შესახებ. ამ შეხვედრის დროს მ. რაინანმა ხაზი გაუსვა, რომ მას თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია ბრძოლა გერმანიის კომპარტიის აკრძალვის გაუქმებისათვის, ვინაიდან ეს აკრძალვა საფრთხეს უქმნის დემოკრატიას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გაზეთი იუწყება, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართა მშვიდობისათვის დასავლეთგერმანელ მებრძოლთა ტრადიციული საგაზაფხულო მანიფესტაციები.

სტატიაში „უცნაური თანამონაწილენი“ აღნიშნულია, რომ ჩინელ ხელისუფალთა პროვოკაციულ გამოხდომებს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე „დაუყოვნებლივ მიეცალმნენ ბონში“.

გაზეთში დაიბეჭდა ინფორმაცია მეწარმეთა თვითნებობის წინააღმდეგ ტისენისა და მანესმანის მუშათა კონცერნების ბრძოლის შესახებ, რომლებიც ცდილობენ ეკონომიურ სიძნელეებს თავი დააღწიონ მშრომელთა ხარჯზე. იბეჭდება სხვა ცნობები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შრომისა და კაპიტალის ბრძოლის ფრონტიდან.

4 აპრილი უნგრეთის განთავისუფლების დღეა

ახალ უნგრეთში

მცდელობანი წლის წინათ, 1945 წლის 4 აპრილს უნგრეთის ქალაქებსა და სოფლებში საყოველთაო დღესასწაული გაიმართა — უნგრელმა ხალხმა თავის მიწაწყლიდან განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები. ამ თავისუფლებას იგი უმადლის საბჭოთა არმიას, რომლის ბევრმა მამაცმა მებრძოლმა თავი დადო მადიარ ძმათა ხსნისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლაში.

უნგრეთში ახალი ცხოვრება დაიწყო და ფაშიზმისაგან განთავისუფლებული ქვეყანა სოციალისტური განვითარების გზას დაადგა. თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ძირფესვიანად გარდაქმნა უნგრეთის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება, რის შედეგადაც დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ერთ-ერთი მოწინავეა ევროპაში თავისი ეკონომიური პოტენციალით.

განსაკუთრებით ნაყოფიერად ვითარდება თანამშრომლობა სსრ კავშირსა და უნგრეთს შორის. საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირი მოძმე უნგრეთს აწვდის მნიშვნელოვან ნედლეულს — ნავთობს, რკინის მადანს, ხე-ტყეს, საქარხნო კომპლექსურ მოწყობილობას, მანქანებს. საბჭოთა გრძელვადიანი შეკვეთები უზრუნველყოფს რესპუბლიკაში გემების, საკონსერვო მრეწველობისათვის ნაკადური ხაზების, მედიკამენტების და სხვ. სისტემატურ გამოშვებას.

ამ უკანასკნელ წლებში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, უნგრეთის მშრომელთა კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებლების ანალიზი მოწმობს, რომ განსაკუთრებით სწრაფად იზრდება სახალხო მეურნეობის წამყვანი, დიდი პერსპექტივების მქონე დარგები.

საბჭოთა კავშირთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა უნგრელი ხალხისათვის კიდევ უკეთესი მომავლის, სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარების მტკიცე გარანტიაა.



ბუდაპეშტი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი. ლენინის ბულვარისა და სახალხო რესპუბლიკის პროსპექტის გადაკვეთის ადგილი.

უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის იზოტოპების ინსტიტუტი. 1959 წელს ინსტიტუტის თანამშრომლები ადგილობრივ მომხმარებელთა შორის მხოლოდ საზღვარგარეთიდან მიღებულ პროდუქციას ანაწილებდნენ. სამი წლის შემდეგ ინსტიტუტი საერთაშორისო ბაზარზე უკვე საკუთარი იზოტოპებით გამოდის. 1963 წლიდან იგი თავის პროდუქციას საექსპორტოდ უშვებს საბჭოთა კავშირში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში და ნაწილობრივ ნიდერლანდსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

სურათზე: აქ იღებენ იზოტოპებს.

გზატკეცილების ექსპრესები

დიორის ვაგონ და მანქანათმშენებელი ქარხანა დღემდე მხოლოდ სარკინიგზო ვაგონებსა და „იკარუსის“ მარკის ავტობუსს ძრავებს უშვებდა, რომლებიც საკმაოდ გათბქვეს სახელი. ახლა აქ იწყებენ კიდევ ერთი ნაწარმის — ავტორანსპორტიორების გამოშვებას. ეს არის სპეციალური ავტომატარებელი, რომლის ტვირთამწეობა 10-დან 20 ტონამდეა.

გამოშვებულ იქნება ორი სახის ავტომატარებელი — კონტეინერებისა და გაყინული პროდუქტების გადასაზიდად.

ფაშისტ დამპყრობლებისაგან უნგრეთის განთავისუფლების 24-ე წლისთავის აღსანიშნავად ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება აიღო გამოუშვას ავტომატარებლები, რომლებიც თავისი ხარისხით მსოფლიო სტანდარტების დონეზე იქნება. ახალ მანქანებს, რომლებსაც 230 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავი აქვთ, შეუძლიათ კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად გაიარონ 300 ათასი კილომეტრი.

ცელდიომელკი შენდება

ოდესლაც მივარდნილი სოფელი ცელდიომელკი (დასავლეთი უნგრეთი) სახალხო ხელისუფლების წლებში მუშათა დიდ დასახლებად იქცა. მისი მოსახლეობის ნახევარი ფაბრიკა-ქარხნებში შრომობს.

რაიონულმა საბჭომ გადაწყვიტა რეკონსტრუქცია გაუკეთოს ცელდიომელკის ცენტრს და მას ქალაქის იერი მისცეს. მომავალი წლის 7 ნოემბერს დაბის მცხოვრებლები სადღესასწაულო დემონსტრაციას მოაწყობენ ახალ მოედანზე, რომელსაც უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელი მიეკუთვნება. მას დაამშვენებენ 10 და 5-სართულიანი სახლები, ახლადდაქორწინებულთა კოოპერაციული სახლი, ახალი მაღაზიები, კაფე. მოედნის ცენტრში მოეწყობა დიდი შადრევანი.

სტუმრად ტურისტები

შარშან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სტუმრად იყო 2.400 ათასზე მეტი უცხოელი ტურისტი. ეს ციფრი რეკორდულია ამ ქვეყნის ისტორიაში. მოსალოდნელია, რომ მიმდინარე წელს უცხოელ სტუმართა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება: პირველ 2.5 თვეში უნგრეთში უკვე იყო 300 ათასი ტურისტი. იშვიათია ისეთი დღე, რომ უნგრეთს არ ესტუმრონ საბჭოთა ტურისტები. იზრდება იმ სტუმართა რიცხვიც, რომლებიც ჩამოდიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ავსტრიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, იტალიიდან.

ყოველწლიურად ფართოვდება „იბუსის“ — უნგრეთის ტურისტული ორგანიზაციის — მუშაობის მოცულობა. მალე მიიღებს სტუმრებს რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი სასტუმრო „დუნა – ინტერკონტინენტალი“. ბუდაპეშტში დაიწყება კიდევ ოთხი სასტუმროს მშენებლობა.

„მეგობრობა — 2“

თითქმის შვიდი წელიწადია, რაც ნავთობსადენი „მეგობრობა“ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ყოველდღიურად აწვდის ათასობით ტონა საბჭოთა „შავ ოქროს“. იგი ამუშავებს ელექტროსადგურებს, სამრეწველო საწარმოებს. საერთაშორისო მაგისტრალი შეუფერხებლად მუშაობს.

მალე დაიწყება მაგისტრალ „მეგობრობა-2“ მშენებლობა. იგი სპეციალურად განკუთვნილი იქნება ნავთობის გადასაზიდად სსრ კავშირიდან უნგრეთში. ნავთობსადენის სიგრძე 300 კილომეტრამდე იქნება.

მაგისტრალი „მეგობრობა-2“ მწყობრში ჩადგება 1972 წლის ბოლოს.

გამოფენაზე მოსკოვში

უნგრეთის სოფლის მეურნეობის, კვებისა და საკონსერვო მრეწველობის 25 საწარმო მიმდინარე წელს პირველად აჩვენებს თავის პროდუქციას სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში. **გამოფენა, რომელიც გაიხსნება 20 აგვისტოს — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის დღეს — 5 ათას კვადრატულ მეტრ ფართობს დაიკავებს და იგი ამ რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი ექსპოზიცია იქნება უცხოეთში. გამოფენის მუშაობის დღეებში მოსკოველები და საბჭოთა დედაქალაქის სტუმრები დაათვალიერებენ ქვების მრეწველობის ნაწარმთა პავილიონს, გაეცნობიან სახელგანთქმულ მადიარულ სამზარეულოს, რომელიც ცნობილია თავისი „ცეცხლოვანი“ კერძებით.**



„ლოკომოტივი“ მოსკოვი — „დინამო“ თბილისი

დიდი ფეხბურთის XXXI გაზაფხული

დღეს აღმართავენ ჩემპიონატის ალამს

კომუნისტი სპორტი

მოვუსმინოთ მწვრთნელებს

საბრძოლო სულისკვეთებით

გ. ჩოხელი,

თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი

პირდაპირ გეტყვით: თამაში გაცილებით ადვილი ყოფილა, ვიდრე მწვრთნელობა. თუ შარშანდელ ბოლო მატჩებს არ მივიღებთ მხედველობაში, წელს ჩემი პირველი სეზონია. სათავეში ჩავუდგე გუნდს, რომელთანაც ბევრი ცხოვრებისეული რამ მაკავშირებს, მეტად ძნელი საქმეა. მაგრამ სასიამოვნოა ის გრძნობა, რომ გუნდს სჯერა ჩემი. „დინამოში“ ხომ ისეთებიც თამაშობენ, რომლებსაც მხარდამხარ გვიბრძოლია საფეხბურთო მოედანზე. სწორედ მათი მხარდაჭერა და მეგობრობა მაიძულებს. ცხადია, გასული წლის შედეგით კმაყოფილი არა ვართ, უნდა მოველოდეთ უკეთესს.

მოსამზადებელი პერიოდი ჩვენთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. კარგად დაწყებას რა სჯობს, და თუ „ენძელას“ მივიღებთ მხედველობაში, ვგონებ ცუდად არ დაგვიწყია. თასის მოპოვებამ ერთგვარი რწმენა შემატა ბიჭებს, საბრძოლად განაწყო ისინი და რა თქმა უნდა არ იგრძნობა თვითკმაყოფილების განწყობილება.

გუნდში ცვლილება არ ყოფილა. გვყავს პერსპექტიული ახალგაზრდები — თ. მალრაძე, ნ. ჭითაური და სხვები. მათთან სისტემატური მუშაობა და ზრუნვა გუნდის რეზერვისათვის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

რა უნდა ვთქვა პირველი მატჩის შესახებ. „ლოკომოტივი“ ჩვენთვის ნაცნობი გუნდია. იგი უმაღლეს ლიგაში ძლიერ და ყველასთვის საშიშ კოლექტივად ითვლება. ალბათ გახსოვთ რკინიგზელთა შარშანდელი თამაში თბილისში, ისიც, თუ როგორ გაგვანწყენეს მათ.

ბრძოლის წყურვილი დიდია. ვნახოთ. „კომუნისტის“ საშუალებით მინდა ფეხბურთის გულშემატკივრებს მივულოცო ფეხბურთის ახალი სეზონი. ვეცდებით მათი იმედები გავამართლოთ.

მხოლოდ უმაღლეს ლიგაში...

ვ. ბლინკოვი,

ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი

წლევანდელი ჩემპიონატი ბევრად განსხვავდება ადრინდელთაგან. აქ არ შევუდგები იმის გარჩევას, თუ რამდენად მართებულია ის სიახლენი, რომლებსაც პირველობის დებულებაში ვხედავთ. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბევრად გაიზარდა მოთხოვნილება და უმაღლეს ლიგაში მშვიდად ყოფნაზე ფიქრიც ზედმეტია.

მოსამზადებელ მუშაობას ცუდად არ ჩაუვლია. შეკრებებმა ორ ეტაპად ლესელიძეში, საკონტროლო მატჩებმა და „ენძელას“ გათამაშებაში მონაწილეობამ ცხადყო გუნდის დამკმაყოფილებელი სპორტული ფორმა. ჩვენ ხომ მესამე ჯგუფში თბილისის „დინამოს“ შემდეგ 5 ქულით მომდევნო ადგილი დავიკავეთ.

განწყობილება, მოთამაშეთა ფიზიკური და ტექნიკური მომზადება საქმის ერთი მხარეა, გუნდის პოტენციალი და ფეხბურთელთა რესურსები — მეორე. აქ მოკლედ მინდა შევჩერდე სწორედ ამ მეორე მხარეზე. გუნდის წამყვანი ბირთვი 16-17 კაცი ყველა ხაზის მიხედვით ცნობილია. კარის დაცვა მინდობილი აქვთ კვაესხვაძისა და გრძელიშვილს. დაცვაში მაყურებლები იხილავენ ლოსაბერიძის, ებრალიძის, შერგელაშვილს, ზარიასა და ჩხაიძის. ნახევარდაცვაში გამოცდილ ფეხბურთელებთან — ერქომაიშვილთან, წვერავასთან და ასიტაშვილთან ერთად გამოიყენ ახალგაზრდები ნაჭყებია, ოქროპირაშვილი და ჩემი ვაჟი. ჯერჯერობით ყველაზე სუსტ ადგილად რჩება თავდასხმა. „ტორპედოს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის ხაჟალიას მწვრთნელად გადასვლამ ერთგვარი სიძნელეები წარმოშვა. ამიტომ იძულებული ვიყავით მის ადგილზე გამოგვეცადა დონის როსტოვის სკა-დან გადმოსული ანფიმიადი და იმედი არ გაგვცრუებია. წინა ხაზზე ჯერჯერობით მთავარ ბომბარდირებად რჩებიან ვეკუა და ხერხაძე. არიან ახალგაზრდებიც, რომლებზეც იმედებს ვამყარებთ — გადელია, ჩიხლაძე, სანაია.

გამარჯვება! ფოტო ა. საკაკოვისა.

ყველა გზა — სტადიონისაკენ

დავიწყებთ იმით, რომ ჩვენი კოხტა „დინამოს“ სტადიონი რეკონსტრუქციის პროცესშია. გულშემატკივრები იგონებენ მასზე მოხდარ დიდ საფეხბურთო ბატალიებს, ბრწყინვალე მატჩებს. მაგრამ რა გაეწყობა, დრომ მოითხოვა, „დინამო“ ველარ აკმაყოფილებდა გულშემატკივართა მოთხრობებს. ფაქტი ერთია, რომ გვექნება უკეთესი სტადიონი. მანამდე კი ფეხბურთში საკავშირო თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ასპარეზობებს მოემსახურება დედაქალაქის „ლოკომოტივის“ სტადიონი.

როგორ ხედავა „ლოკომოტივის“ სტადიონი წლევანდელ ჩემპიონატს? ამ კითხვით მივმართეთ მის დირექტორს თ. ჟორჟოლიანს.

ჩვენ, თქვა თ. ჟორჟოლიანმა, არცთუ ადვილი ამოცანის წინაშე ვიდექით. „ლოკომოტივის“ სტადიონზე გასაკეთებელი და მოსაგვარებელი ბევრი იყო.

გასული წლის დეკემბერში ამირკაკვასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება სტადიონის კეთილმოწყობისა და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შესახებ. მოგეხსენებათ, რომ სტადიონის ძირითად ნაწილს მოედანი წარმოადგენს. „ლოკომოტივზე“ კი მოედანი კარგ დღეში როდი იყო. მოსკოვიდან მოვიწვიეთ ამ დარგის სპეციალისტები. ახლა მოედანი მარლაც შესანიშნავი გვაქვს.

სტადიონი კაპიტალურად შეკეთდა. დასავლეთ ტრიბუნაზე გაკეთდა ლოჟები, რომელთა ქვეშ მოწყობილია ჟიხურები რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორთათვის.

მაყურებელთა უკეთ მომსახურების მიზნით სტადიონის ორგვლივ დაიდგა ხუთი პავილიონი. წესრიგშია მოყვანილი ადგილობრივი რადიოკვანძი. „დინამოს“ სტადიონიდან გადმოვიტანეთ ელექტრტაბლო და მიმდინარეობს მისი დამონტაჟება. „დინამოდან“ გადმოვიტანეთ აგრეთვე მეტალკონსტრუქციის დროებითი ტრიბუნა, რომელიც შეერთდება ჩვენი სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ლოკომოტივი“ ორმოციათასზე მეტ მაყურებელს დაიტევს. სტადიონზე შესაძლებელი იქნება თამაშის გამართვა დღის ყოველ დროს.

ფეხბურთის გულშემატკივრის წინაშე მატჩის დღეს დგება მეტად მნიშვნელოვანი — ტრანსპორტის პრობლემა. „პიკის საათებში“ სტადიონისაკენ მიმავალი ტროლეიბუსებისა და ავტობუსების მარშრუტებზე დამატებით ვეღარ მანქანები. რუსთაველის მოედნიდან სტადიონამდე იმუშავებს აგრეთვე ხუთი ექსპრესი. ყველა მარშრუტზე იმუშავებს 90-100 ავტობუსი. მატჩის დამთავრებისას ჭავჭავაძის პროსპექტზე ვაკის პარკის შესასვლელთან მაყურებლებს დაელოდება 400 მსუბუქი ტაქსი. ყოველივე ეს, უეჭველია, ხელს შეუწყობს მაყურებელთა სწრაფ გადაყვანას სტადიონზე და სტადიონიდან.

ჭავჭავაძის პროსპექტზე მოძრაობა ღია იქნება მხოლოდ ვაკის პარკის ცენტრალურ შესასვლელამდე. ამის შემდეგ მანქანები ან უკან მობრუნდებიან, ან განაგრძობენ გზას გურამიშვილის ქუჩით, რომელზეც ამ დროისათვის მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობა იქნება. ფიზიკის ინსტიტუტიდან ფიზკულტურის ინსტიტუტისაკენ მოსახვევამდე მონაკვეთი განკუთვნილია მსუბუქი ავტომანქანების ფასიანი სადგომებისათვის. გურამიშვილის ქუჩისა და ჭავჭავაძის პროსპექტის სხვა ადგილებში მანქანების დაყენება აკრძალულია.

მაშ ასე, „ლოკომოტივი“ ელოდება ალმის აღმართვას, მობურთალებს, თქვენ — გულშემატკივრებს.

იუმორესკა

ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

ქმეყნად მარადიული არაფერია. ალბათ, არც კიევის „დინამო“ იქნება დაუსრულებლად ჩემპიონი. ყველაფერს დასასრული აქვს. დამეს დღე ცვლის, ზამთარს — გაზაფხული, იაკუშინს — კაჩალინი. იამინის შემცვლელიც გამოინახა.

ჩვენს გაუთავებელ ლოდინაც ბოლო მოეღო. აბა, მიიწურა შესვენება, და იწყება ფეხბურთის ნამდვილი გაზაფხული.

სადაც უნდა გაიხედო, ყველაფერს ბურთის ფორმა აქვს. მზე ეცცხლოვანი ბურთია, მთვარე — სპილენძისა, კაციც ხომ შეიძლება იყოს ბურთივით მრგვალი და ცხოვრობდეს საბურთალოზე. ერთი სიტყვით, ბურთი ადამიანს სისხლში აქვს გამჯდარი, სისხლი კი წითელი და თეთრი ბურთულებისაგან შედგება.

მაშ ასე, იწყება საფეხბურთო ცოტა-ცხელება.

ხომ ხედავ, ენძელებით შემოგვეგებეთ, კეთილი იყოს შენი მოსვლა, სულ ოქროს გზებზე გევლოს და ხელში სულ თასები გეჭიროს!

კარზე დაგვიკაკუნე, ხომ? კეთილი და პატიოსანი. თუ კი მოდიხარ, რა მოგაქვს, ისიც შეგვატყობინე. ოქროს მედლებიო? — სიტყვა სიტყვაა და არ გადათქვა! ჩვენში დარჩეს და, ოქრო რა ფერისაა, თბილისში აღარც კი ახსოვთ.

არა, ტამკენტს რა დაგავიწყებს, მაგრამ მერე რა ღმერთი გაგგიწყრა?!...

ერთი სიტყვით, ოქრო მედლები გვინდა. ბურთი მრგვალია, იტყვის ასლა ზოგიერთი, მაგრამ არც კიევშია იგი ბრტყელი და არც მოსკოვში.

ფეხბურთი რომ ძნელი სათამაშოა, ეგეც ვიცით. როგორ, ყურება ადვილია თუ? რით სჯობია კარგ გულშემატკივარს ცუდი ფეხბურთელი?!

ეს სიტყვამ მოიტანა, თორემ ჩვენ ცუდი ფეხბურთელები არა გვყავს, გულშემატკივრები ხომ კარგი ვართ და კარგი. ჰოდა, შევეწყოთ ხელი ერთმანეთს. ჯერ ოქროს შევეთამაშოთ, მერე თასს ჩავუკრათ თვალი, მერე ევროპაშიც გავიხეიროთ, მერე...

ჰო, მართლა, ქუთაისი არ დაგვავიწყდეს. რაც „ტორპედომ“ შარშან დღე წაგვკიდა, მაგას მხოლოდ კოროვაბადელი გულშემატკივრები გაგვიგებენ. გადავყეთ ქუთაისის დარჩენას „ა“ კლასში, „ვავარდება, არ ვავარდებას“ ძახილში სული კინაღამ ჩვენ გაგვვარდა.

რას იზამს წელს ჩვენი ქუთაისი, ძველებურად არსენა ოქელაშვილივით დაურიგებს ქულებს გაბერვებულებს და მერე ძლიერი გუნდების ხარჯზე დარჩება „ა“ კლასში, თუ საქმის მოგვარებას თავიდანვე შეუდგება?

ჰა, ბურთი, ჰა მოედანი და ჰა ქუთაისი! სხვა ქალაქებიც აქ არიან, ერთმანეთის პირდაპირ დამდგარან, მსაჯი აძლევს სასტვენს და იწყება, რაც დასაწყებია.

ფეხბურთი იწყება!

ა. სამსონია.

საფეხბურთო ნაკვესები

● **დინამოელებმა** ჩაიცინეს, შემოდგომაზე ჩემპიონობის დასალოცად თასი უკვე გვაქვსო.

● **ფეხბურთმა** ურჩია გულშემატკივარს, დინჯად განმეცადე, თორემ ზოგს თუ ვასვენებ, ზოგსაც **ვასვენებო.**

● **ბურთმა** თქვა, მსაჯის პანღური არ მოგემეო, მაგრამ გატანით კი ბევრჯერ **გავუტანივარო.**

● **გამყიდველს** იამინის თამაში უქეს, და — ვენაცვალე **ლევსაო.**

● **მეკრთამე** მსაჯად დანიშნეს, და — ჩამთავალეთ და **ჩაგითვლითო.**

● **ვეკილმა** გიიკვირვა, — ნეტავ ეს დამცველები ასე გამწარებით რათ იცავენ მეკარეს **მუკოთადო.**

● **დინამოელებს** შეახსენეს, თქვენი **„შვიდობა“** ჩვენს **მშვიდობას** არ ნიშნავსო.

● **კომბინატორმა** მწვრთნელობა ითხოვა, სხვას თუ ვერაფერს, **კომბინაციებს** მაინც შევასწავლო.

ვ. ჯაკრიშვილი.

ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

იწყება ჩვენი ძველი და განუმორებელი სიყვარული — ფეხბურთი!

იწყება ჩვენი გულის გამახარებელი და გულის გამხეთქი, ენერგიისა და წნევის მომმატებელი, ჩვენი იმედი და უიმედობა, ჩვენი ნიჭი და ენიჭობა, და მაინც ჩვენი ძმა და მეგობარი — ფეხბურთი!

კი გამარჯობა შენი, ფეხბურთო!

ისე როგორ ხარ, რა გუნებაზე ბრძანდები, ახალს რას გვეტყვი, რით გაგაკვირვებ, რით გაგიმწარებ?

რომ იცოდე, როგორ გელოდით, რამდენჯერ დაგვსიზმრებიხარ ზამთრის გრძელ და გაუთენებელ ღამეებში, რამდენი ტკბილი ოცნება დაგვიკავშირებია შენს სახელთან.

გასულ შემოდგომაზე დაგვემშვიდობე და მხოლოდ წლევანდელ გაზაფხულზე დაგვიბრუნდი. გაგონილა, შე დალოცვილო, ამხელა ლოდინი? თავს ნუ იმართლებ, დაიგვიანდა სტუმრობა. მაგრამ საყვედურს ვინ გაკადრებს.

ხომ ხედავ, ენძელებით შემოგეგებეთ, კეთილი იყოს შენი მოსვლა, სულ ოქროს გზებზე გევლოს და ხელში სულ თასები გეჭიროს!

ჰო, ბურთო, ჰა მოედანი! ეს ბურთი, ეს მოედანი ჩვენ ცხოვრებისეული ნაწილია. ეს ბურთი ჩვენ ბავშვობა-ყმაწვილობა-ახალგაზრდობა-ზრდასრულობა-ბებერობა-